



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 8/30

2023 წლის 28 ივნისი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.180) მდებარე მე-4 სართულზე არსებული 91.1 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის N26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გიორგი ხახუბიას ბიუროსათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

საჯარო რეესტრის ამონაწერის შესაბამისად, ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12-ში მდებარე უძრავი ქონება (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.180) წარმოადგენს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 202-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულებებთან კომუნიკაციისა და ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით ადგილზე იქმნება მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრის (შემდგომ – მაჟორიტარი პარლამენტის წევრი) ბიურო.

№26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გიორგი ხახუბიას ბიუროს უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, 2023 წლის 19 ივნისის განცხადებით (N19/4223170136-42) მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.180) მდებარე მე-4 სართულზე არსებული 91.1 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის ბიუროს ფუნქციონირების მიზნით გადაცემა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მუნიციპალიტეტის ქონება უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე გადასცეს სახელმწიფოს და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (გარდა პოლიტიკური პარტიისა), მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, საწარმოს, რომლის წილის ან აქციათა 50%-ზე მეტს ფლობს/ფლობენ მუნიციპალიტეტი/მუნიციპალიტეტები, ან მხოლოდ მუნიციპალიტეტის/მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.

ამასთანავე, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის, 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ამდენად, მიზანშეწონილია ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.180) მდებარე მე-4 სართულზე არსებული 91.1 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართის №26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გიორგი ხახუბიას ბიუროსათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემა.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

მიეცეს თანხმობა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, დავით აღმაშენებლის ქუჩა №12-ში (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი 04.01.11.180) მდებარე, მე-4 სართულზე არსებული 91.1 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადასცეს №26 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის გიორგი ხახუბიას ბიუროს (ს/კ 215163864).

მუხლი 2.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №3).

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია 2023 წლის 28 ივნისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშელაშვილი